

შინაური ცხოველების პრობლემა თბილისში და მისი გადაჭრის გზები

ნათია ყიზილაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის,
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე არქიტექტურის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოთხოვნის შესაბამისად

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე რამიშვილი

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ყიზილაშვილი

12.06.2021

სარჩევი

აბსტრაქტი -----	1
შესავალი -----	2
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა -----	6
მეთოდოლოგია -----	16
შედეგები -----	17
ურბანული კვლევა -----	25
კონცეფცია -----	35
დასკვნა -----	40
ბიბლიოგრაფია -----	44

სქემათა ნუსხა

სქემა 1. ასაკობრივი მაჩვენებელი -----	18
სქემა 2. გამოკითხულთა სქესი -----	18
სქემა 3. გამოკითხულთა მაჩვენებელი, რომელიც თვლის, რომ უპატრონო ცხოველების კუთხით პრობლემაა თბილისში -----	18
სქემა 4. იწვევს თუ არა უსახლკარო ცხოველები ქუჩაში ადამიანებში შეწუხებას. -	19
სქემა 5. უპატრონო ცხოველები, საფრთხე თუ პრობლემა? -----	19
სქემა 6. უპატრონო ცხოველების მიმართ, არაადამიანური მოპყრობის ფაქტები. --	20
სქემა 7. ემხრობიან თუა არა, ევროპაში აპრობირებულ მეთოდს კასტრაცია/სტერილიზაციის საკითხს. -----	20
სქემა 8. სჭირდება თუ არა თბილისს ცხოველთა თავშესაფარი. -----	21
სქემა 9. შექმნიათ თუ არა პრობლემა სასტუმროში განთავსებისას თავის ოთფეხა მეგობართან ერთად. -----	22
სქემა 10. უსარგებლიათ, ან ისარგებლებდნენ თუ არა მომავალში ადაპტირებული და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ცხოველთა თავშესაფრით. -----	22
სქემა 12. სჭირდება თუ არა თბილისს ცხოველთა სასტუმრო და დატოვებდნენ თუ არა მათ შინაურ ცხოველს თბილ და მყუდრო გარემოში -----	23
სქემა 11. თბილისში არსებული ცხოველთა სასტუმროს შეფასება. -----	23
სქემა 13. ადამიანებს სრულად აქვთ გათვინციობიერებული თუ არა შინაური ცხოველის აყვანის საკითხი. -----	23
სქემა 14. უნდა მოწმდებოდეს თუ არა პოტენციური მესაკუთრე შინაური ცხოველის აყვანამდე, მაგალითად საცხოვრებელი პირობების, სამუშაო გრაფიკისა თუ ფინანსური კუთხით? -----	24
სქემა 15. სანქციები შინაურ ცხოველთა სახლიდან გამოგდებასთან დაკავშირებით. 24	
სქემა 16. საპროექტო არეალი. -----	26
სქემა 17. საკადასტრო არეალი, ფუნქციური ზონები. -----	27
სქემა 18. მიმდებარე ობიექტები. -----	28

ფოტომასალათა ნუსხა

<u>ფოტო 1. საპროექტო არეალი.</u> -----	29
<u>ფოტო 2. მიმდებარედ არსებული მაღალი ძაბვის ობიექტები.</u> -----	29
<u>ფოტო 3.</u> -----	30
<u>ფოტო 4.</u> -----	30
<u>ფოტო 5. მშრალი ტბა</u> -----	31
<u>ფოტო 6. მშრალი ტბის ტერიტორია</u> -----	32
<u>ფოტო 7.</u> -----	32
<u>ფოტო 9.</u> -----	33
<u>ფოტო 8.</u> -----	33
<u>ფოტო 11.</u> -----	34
<u>ფოტო 10. რეკრეაცია.</u> -----	34
<u>ფოტო 12.</u> -----	35

აბსტრაქტი

თბილისში დღესდღეობით ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს დაუცველი უსახლკარო ცხოველები, მოუწესრიგებელი თავშესაფრებისა და არარსებული სასჯელადმასრულებელი წესდებების გამო, ისინი განიცდიან ტანჯვასა და ზიანს ადამიანებისგან.

თბილისის მასშტაბით ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ დედაქალაქი მიუსაფარი ცხოველების მხრივ, დიდი პრობლემის წინაშე დგას, არ გაგვაჩნია საერთაშორისო სტანდარტის მოწესრიგებული თავშესაფრები, არ არის მოქმედი რეგულაციები, როგორც სხვა ქვეყნებში, სადაც ვალდებული ხარ იზრუნო ცხოველზე, რომელიც მოიშინაურე და არ გაქვს უფლება ერთ დღეს თუ მოგწყინდება გაუშვა გარეთ. აუცლებელია დაინერგოს ცხოველთა დაცვის მაღალი სტანდარტები. სწორედ ამიტომაც, კვლევის მიზანს წარმოადგენდა, თბილისის უპატრონო ცხოველების საჭიროებების დადგენა, ნაკლებად პრობლემური, პრობლემური და მეტად პრობლემური საკითხების გამოვლენა.

მოძიებული სამეცნიერო ლიტერატურისა და კვლევების საშუალებით შეიქმნა ისეთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების გათვალისწინებით ნათლად ასახავს თუ როგორი უნდა იყოს ცხოველთა თავშესაფარი, რა რეგულაციებისა და ღონისძიებების გატარებაა საჭირო მათთვის უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემოს შესაქმნელად, მოსახლეობაში ცნობიერების ასამაღლებლად და შემდგომში უკვე არარსებული ადგილობრივი რეგულაციების დასამკვიდრებლად.

დედაქალაქში მსგავსი ტიპის შენობების ნაკლებობაა, შესაბამისად იგი ხელს შეუწყობს და წახალისებს მსგავსი ტიპის შენობის განთავსებას, რაც როგორც მენტალურ ცვლილებას და ცნობიერების ამაღლებას გამოიწვევს საზოგადოებაში, ისე ახალ კულტურულ შტრიხს შეიტანს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში.

ნაშრომი წარმოადგენს საწყის კვლევას, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო სტანდარტებზე და გვამღევეს იმის საშუალებას, რომ დავინახოთ თუ

რა მდგომარეობაა თბილისში მიუსაფარი ცხოველების კუთით, ასევე რა საჭიროებები აქვთ მიკედლებულ თუ აყვანილი ცხოველების პატრონებს, როგორ მოაგვარეს მიუსაფარი ცხოველების პრობლემა სხვა ქვეყნებში და რა მინიმალური სტანდარტებია მათი უფლებების დასაცავად, რაც მომავალში საფუძვლად დაედება უფრო ძირეულ კვლევებს, რომელიც ვიმედოვნებ მოაგვარებს ცხოველთა პრობლემებს და მათი კეთილდღეობის საკითხებს, დაიცავს მათ ზიანის, ტანჯვისა და სისასტიკისგან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მიუსაფარი ცხოველები, ცხოველთა თავშესაფარი, ცხოველთა პრობლემები, საერთაშორისო სტანდარტი ცხოველთა დაცვასა და მათ საკეთილდღეოდ, ცხოველის როლი ადამიანის ცხოვრებაში, ცხოველი როგორც უნარშეზღუდული ადამიანის მარჯვენა ხელი/დამხმარე, ცხოველების გაწვრთნა უნარშეზღუდული ადამიანების დასახმარებლად.

შესავალი

დედაქალაქი მასში ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციების მართვის საკითხებში დიდი პრობლემების წინაშე დგას, რაც უმთავრესად საზოგადოების დაბალი ცნობიერებიდანაა გამოწვეული. აღნიშნული პრობლემა საგრძნობლად შემსუბუქდა 2015 წლის მერე, რაც “ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო” შეიქმნა. აღნიშნული სამსახურის ფუნქციაა საზოგადოების დაცვა აგრესიული და დაავადებული ცხოველებისგან, ასევე მათი მართვა და კონტროლი. ეს საგრძნობლად შესამჩნევია ქუჩებში ყურზე საჭდის მქონე ძაღლების დიდი რაოდენობით, რაც მათი სტერილურობისა და ვაქცინაციის მანიშნებელია. დღესდღეობით სწორედ ეს მიდგომა წარმოადგენს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის ყველაზე ჰუმანურ გზას, რაც ევროპის უმეტესმა ქვეყანამ უკვე გაიარა და აპრობირებული მეთოდია. ეს ნაბიჯი მუნიციპალიტეტის მხრიდან გადადგმულია,